

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 135

(გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის

2015 წლის 4 ივნისის N1177 განკარგულება, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 8 ივნისს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის სოფიო ტურიაშვილის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა №12, ტელეფონი 299-11-08

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №GE24NB0330100200165022, ბანკის კოდი TRESGE22, ს/კ 205005910

მიმწოდებელი: შპს "დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 204920309

მისამართი: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი №27

დირექტორი: გიორგი გოცირიძე

საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22;

ანგარიშის №GE55TB0600000017467328

ერთი მხრივ - შემსყიდველი, და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საბანი

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო მომსახურების შესყიდვა დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად (CPV-70100000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 150 000 ლარი.

ას ორმოცდაათი ათასი ლარი და ნული თეთრი (თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) შემსყიდველს გაუწიოს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო მომსახურება დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.
- ბ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- ბ) შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;



სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“

შეთანხმებულია იურიდიულ დეპარტამენტს

08.06.2015

გეგმონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის შემოწმება. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლებიდან შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
- 6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
- 6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 6.4 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია, ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა.
- 6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლებიდან შექმნილ ინსპექტირების ჯგუფს.

7. ანგარიშსწორების წესი

- 7.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
- 7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ხელშეკრულებაზე თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად;
- 8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 31 აგვისტოს ჩათვლით დანართის №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ვადადღე ადრე შეწყდება.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

- 10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად - ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.
- 10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვალდებულებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
- 10.4 მიმწოდებლის მხრიდან ნაკლიანი შესრულების განხორციელების (მომსახურების გაწევა, რომელიც არ არის მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე ან, ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დადგენილი სტანდარტების შესაბამისი) შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით, ერთიანი გადასახდელის სახით.
- 10.5 დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების



მოშლის შესახებ ვალდებულების დარღვევის გამოსასწორებლად მიმწოდებლისთვის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების გზით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ აქვს ან ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულება შემსყიდველის არსებით ინტერესს წარმოადგენს, შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის შესახებ.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას.
- 12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფორს-მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.
- 12.3 ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორად“ მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

13. საღაპო საკითხების გადაწყვეტა

- 13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დაეა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ფარგლებში.
- 13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, დაეის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

- 14.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 14.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).


15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან

მიმწოდებლის მხრიდან

ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის უფროსი
სოფიო ტურიაშვილი

შპს „დისტანციური ზონდირებისა და
გეოინფორმაციული სისტემების
საკონსულტაციო ცენტრის“
დირექტორი
გიორგი გოცირიძე



2.1 შესაბამისი მოთხოვნები

გარემოს დაცვის, სოციალური კუთხის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსახლების სამოქმედო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ შესაბამისი მოთხოვნებს, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება იმ მოთხოვნებით, რაც ეკოლოგიური და სოციალური ზეგავლენის შეფასებასთანაა დაკავშირებული.

ამასთან, განსახლების სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს საქრთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკასთან და საქრთაშორისო ფინანსრი ინსტიტუტ(ებ)ის პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობის შემთხვევაში აღნიშნულ ინსტიტუტ(ებ)სა და კომპანიას შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებულ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკასთან, მოთხოვნებთან, წესებსა და რეგულაციებთან. ამ მიზნით, შემსრულებლის მიერ მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკისა ან/და ევროპისა და რეკონსტრუქციის განვითარების ბანკის განსახლებასთან დაკავშირებულ პრინციპებსა და მოთხოვნებს.

2.2 ქონებისა და მოსახლეობაზე განსახორციელებელი ზემოქმედების მიმოხილვა

პროექტის განხორციელება დაახლოებით 1000 ჰა მიწის ნაკვეთზე უნდა განხორციელდეს საიდანაც 450-500 ჰა კერძო საკუთრებაშია.

პროექტის განხორციელებისას შესაძლოა შეიცვალოს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი სხვადასხვა მონაცემები (ნაკვეთები, ფართობი, პირები და ა.შ.), ამგვარი ცვლილების შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია განსახლების სამოქმედო გეგმა მიუსადაგოს შეცვლილ გარემოებებს.

3 სამუშაოს მოცულობა

3.1 ზოგადი მოთხოვნები

განსახლების სამოქმედო გეგმაში უნდა შევიდეს :

- ობიექტის კვლევა, აზომვითი სამუშაოები და მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეალური საზღვრების დადგენა;
 - პროექტის სქემის დატანა საკადასტრო რუკებზე და ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ნაკვეთების ანალიზი (რაოდენობა, ტერიტორია, ამგვარი ნაკვეთების ფართობი და სხვა);
 - სიტუაციის გადამოწმება ობიექტზე და ყველა არსებული მიწის ნაკვეთის გამოვლენა, რომელიც მოყვება ზემოქმედების ქვეშ (მათ შორის, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრშია აღრიცხული);
 - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების და ქონების სრული აღწერა, რაც შესაძლებელს გახდის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების რაციონალური კატეგორიზაციის ჩამოყალიბებას (მიწის მესაკუთრე, თვითნებურად დამკავებელი თუ მოიჯარე; მიწის რეგისტრირებული მესაკუთრე და არარეგისტრირებული, მაგრამ ლეგალიზებადი მესაკუთრე; პროექტით დაზარალებული პირები, ოჯახები ბიზნესები და სხვ.);
 - ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მიწის ნაკვეთების ანალიზი;
 - დანაკარგის შეფასება: მიწა, ქონება, ხე/ნარგავები, ერთწლიანი კულტურების წლიური მოსავალი, შეჩერებული ბიზნესები და სხვ;
 - ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შინამეურნეობების 20%-ის სოციოლოგიური კვლევა.
 - ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შენობა-ნაგებობების და ნაკვეთების 100%-იანი ინვენტარიზაცია;
 - საჯარო კონსულტაციები;
 - განსახლების ანგარიში.
- განსახლების და კომპენსაციის სტრატეგია, რაშიც უნდა შედიოდეს:
- უფლებების აღწერა (უფლების მატრიცა – ვინ რა სარგებელს იღებს, პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების ზემოსხენებული კატეგორიზაციის საფუძველზე);
 - პროექტის შედეგად ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირებისათვის შესათავაზებელი კომპენსაციების აღწერა;
 - სხვა სარგებლების აღწერა, შესაბამისად (გადასახლების კომპენსაცია, სხვა შედავათები);
- კონკრეტული ღირებულებები, რაც უნდა უკავშირდებოდეს:
- მოწყვლადი ჯგუფების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევას,
 - კონსულტაციას, ინფორმაციის გავრცელებას და საჩივრების მექანიზმის მართვას



- შემოთავაზებული გეგმის აღწერას განსახლების სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, რაშიც უნდა შედიოდეს განხორციელებული ვადლებულებები, ბიუჯეტი და დროითი ფარგლები, სადაც განსახლების სამოქმედო გეგმის საქმიანობა დაკავშირებულია სამშენებლო საქმიანობასთან, ასევე ამის შედეგად მიწის შესყიდვის გრაფიკი.

3.2 ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების და ქონების აღწერა

აღწერაში მითითებული უნდა იყოს ორი შემდეგი კომპონენტი:

- უძრავი ქონება:

- o საკადასტრო იდენტიფიკაცია და კოორდინატები;
- o ნაკვეთის აზომვა (ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ნაკვეთი და დანარჩენი ნაწილიც, თუ ეს ისეთი ნაკვეთია, რომელსაც პროექტი ნაწილობრივ ეხება);
- o ნაკვეთზე არსებული ნებისმიერი ხის ან/და ნაგებობის იდენტიფიკაცია;
- o ყველა ნაგებობის აღწერა (ხედაპირის ფართობი, მასალები, აღნაგობა, დანიშნულება, მდგომარეობა);
- o მიწისა და უძრავი ქონების საკუთრების ან/და მფლობელობის ტიპის აღწერა მობინადრებს და/ან მოსარგებლებს კანონიერი უფლება აქვთ თუ არა – და თუ აქვთ, მაშინ რის საფუძველზე [მფლობელობა, იჯარა, ქირავნობ], ან ხომ არ იკავებენ ან იყენებენ მიწას/უძრავ ქონებას არაფორმალურ საფუძველზე
- o პროექტთან დაკავშირებული ქონების ღირებულების შეფასება ჩანაცვლების (აღტერნატიული) ღირებულებით, დასაბუთებისთვის საჭირო სათანადო მითითებების თანხლებით

- ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების (ვისაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მოუხდება, ან ეკონომიკური განსახლება) სოციო-ეკონომიკური კვლევა, რომლის მიზანია შემდეგი სახის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოძიება:

- o შინამეურნეობის შემადგენლობა (ვინ ცხოვრობს ზემოქმედების ქვეშ მოყოლილ საცხოვრებელში), უნდა მიეთითოს ასაკი, საქმიანობა და დაუცველობის სტატუსი (შეზღუდული შესაძლებლობები, ქრონიკული დაავადებები),
- o შინამეურნეობის ეკონომიკური სტატუსის აღწერა (შინამეურნეობის მთავარი მოძრავი აქტივების მოკლე აღწერა – ავეჯი, საოჯახო ტექნიკა და ა.შ., ეკონომიკური საქმიანობა, შემოსავლის კატეგორიზაცია),
- o აღწერა, თუ რამდენად არის შინამეურნეობის ამჟამინდელი ეკონომიკური და სოციალური გარემოებები დამოკიდებული მათ ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე, კრიტიკული ფაქტორი სხვა ადგილას განსახლების პოტენციური ზეგავლენის განსაზღვრისათვის,
- o კომპენსაციის სასურველი სახე (ნაღდი ფულით, ან განსახლებაში დახმარება და ა.შ.)

აღწერისა და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები შეტანილი უნდა იქნეს მარტივ მონაცემთა ბაზაში, რომელიც გამოყენებულ იქნება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ეტაპზე, რასაც ასევე უნდა ქონდეს სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგის დანიშნულება.

აღწერა გამოყენებული უნდა იყოს “ათვის” თარიღის დასადგენად: ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც პროექტის სამშენებლო ბუფერში აშენდება, ან მრავალწლიანი ნარგავი, რომელიც დაითესება აღწერისა და ინვენტარიზაციის თარიღის შემდეგ, კომპენსაციას აღარ დაექვემდებარება. შემსყიდველთან ერთად, მიმწოდებელმა უნდა გაუზიაროს ადეკვატურ შეტყობინება დაინტერესებულ ადგილობრივ უწყებებს და ინფორმაცია წინასწარ მიაწოდოს აღწერამდე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დროსთან დაკავშირებულ საკითხებს აღნიშნული ინფორმაციის კუთხით, რათა თავიდან იქნას აცილებული სპეკულირების მცდელობა კომპენსაციის მაქსიმუმამდე გაზრდის აღწერის და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების საფუძველზე, პროექტით დაზარალებული პირების და აქტივების კატეგორიზაცია მოხდება შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, მაგალითად:

- პროექტით დაზარალებული პირები, რომლებიც ქონებას კანონიერად ფლობენ / პროექტით დაზარალებული პირები, რომლებსაც ქონება დაკანონებული არ აქვთ;
- საცხოვრებელი შენობები / სხვა ნაგებობები;
- მფლობელები / მდგმურები / სხვა მობინადრენი;
- კომერციული საქმიანობა და მცირე ბიზნესი.

სოციალურ-ეკონომიკური კვლევა უნდა დამუშავდეს შეჯამების მოსამზადებლად.

ასევე უნდა შემუშავდეს კონკრეტული კითხვარები და ფორმები. მაგალითად როგორიცაა:

- შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური კვლევა (შესაძლოა, სპეციფიკური კითხვები მომზადდეს იძულებით გადაადგილებული პირებისთვის);
- ნაკვეთის ფორმა;
- ნაგებობის ფორმა;



- სასურველი კომპენსაცია.

3.3 განხორციელების დაგეგმვა

უნდა მომზადდეს შესასრულებელი დავალებების დეტალური ცხრილი, სადაც მოცემული იქნება ვალდებულებების შემოთავაზებული გადანაწილება თითოეული დავალებისთვის. ნათლად განიმარტოს განხორციელების მექანიზმი განსაკუთრებით კი ბიუჯეტირების და კომპენსაციის გადახდის კუთხით. შემსრულებელი შეაფასებს შემდგომი ტექნიკური დახმარების/საკონსულტაციო მომსახურების საჭიროებას. ზემოხსენებულის და საკომპენსაციო ხარჯების შეფასების საფუძველზე (და გასახლების ხარჯების გათვალისწინებით, თუ საჭიროა), განსახლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი უნდა იყოს მუხლობრივი და დასაბუთებული ბიუჯეტი, განხორციელების დეტალურ გრაფიკთან ერთად, რაც უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ეტაპებს.

3.4 კონსულტაცია და ინფორმაცია

შემსრულებელმა უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ჯგუფების ინფორმირებისთვის, ასევე კონსულტაციას გაუწიოს მათ განსახლების სამოქმედო გეგმის კვლევების განხორციელების განმავლობაში. აღნიშნული ზომები სანქცირებული უნდა იყოს განსახლების სამოქმედო გეგმის სამშენებლო გეგმაში, რომელიც ყველანაირი საველე სამუშაოების დაწყებამდე უნდა წარედგინოს და შეუთანხმდეს შემსყიდველს.

4. ჯგუფი, შესასრულებელი სამუშაოები, გრაფიკი, ბიუჯეტი

3.1 ჯგუფი

განსახლების სამოქმედო გეგმის ჯგუფი, უნდა დაკომლექტდეს არანაკლებ შემდეგი სპეციალისტებისგან:

- განსახლების და კომპენსაციის გამოცდილი სპეციალისტი, რომელსაც საქართველოში მსგავსი პროგრამების განხორციელების მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნია;
- გამოცდილი სოციო-ეკონომისტი, ვისაც საქართველოში მსგავსი სოციო-ეკონომიკური კვლევების განხორციელების გამოცდილება გააჩნია, ასევე გამოცდილია ისეთ მოწყველად ჯგუფებთან ურთიერთობაში, როგორცაა იგბები;
- მიწის/შენობების შეფასების გამოცდილი ექსპერტი.

4.2 შესასრულებელი სამუშაოები

აღნიშნული დავალებისთვის შესასრულებელ სამუშაოში უნდა შედიოდეს:

- მოკლე (დაახლოებით 5 გვერდიანი) განსახლების სამოქმედო გეგმის საკონსულტაციო გეგმა, სადაც აღწერილია საკონსულტაციო და საინფორმაციო ღონისძიებები, რაც განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების განმავლობაში და შემდეგ უნდა იქნას გაწეული,
- საკადასტრო აზომებით ნახაზებისა და ციფრული მონაცემების მომზადება აზომილ მიწასა და უძრავ ქონებაზე;

- განსახლების სამოქმედო გეგმის დაახლოებით 50-80 გვერდიანი ტექსტი, შემაჯამებელი მიმოხილვის და დანართების გარეშე, სადაც უნდა შედიოდეს შემდეგი ინფორმაცია:

- სოციო-ეკონომიკური კვლევის და აღწერის შედეგები, წარმოდგენილი ცხრილების და გრაფიკების სახით, მოკლე ტექსტით;
- ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი აქტივების და მოსახლეობის კატეგორიზაცია აღწერის შედეგების საფუძველზე.

სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველმა უნდა მიიღოს:

- საკომპენსაციო სტრატეგია და უფლებების მატრიცა;
- განხორციელების დეტალური გეგმა;
- შემაჯამებელი მიმოხილვა;
- შესაბამისი დანართები.




ფასების ცხრილი

ეტაპები	მომსახურების აღწერა	შესრულების ვადა	გადახდა (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
I ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> ▪ საჯარო კონსულტაციები ▪ ობიექტის კვლევა, აზომვითი სამუშაოები და მიწის ნაკვეთ(ებ)ის რეალური საზღვრების დადგენა; ▪ პროექტის სქემის დატანა საკადასტრო რუკებზე და ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ნაკვეთების ანალიზი (რაოდენობა, ტერიტორია, ამგვარი ნაკვეთების ფართობი და სხვა); ▪ სიტუაციის გადამოწმება ობიექტზე და ყველა არსებული მიწის ნაკვეთის გამოვლენა, რომელიც მოყვება ზემოქმედების ქვეშ (მათ შორის, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრშია აღრიცხული). 	<p>ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 26 ივლისის ჩათვლით</p>	<p>50 000</p>
II ეტაპი	<ul style="list-style-type: none"> ▪ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების და ქონების სრული აღწერა, რაც შესაძლებელს გახდის ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი პირების რაციონალური კატეგორიზაციის ჩამოყალიბებას (მიწის მესაკუთრე, თვითნებურად დამკავებელი თუ მოიჯარე; მიწის რეგისტრირებული მესაკუთრე და არარეგისტრირებული, მაგრამ ღეგალიზებადი მესაკუთრე; პროექტით დაზარალებული პირები, ოჯახები ბიზნესები და სხვ.); ▪ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი მიწის ნაკვეთების ანალიზი; ▪ დანაკარგის შეფასება: მიწა, ქონება, ხე/ნარგავები, ერთწლიანი კულტურების წლიური მოსავალი, შეჩერებული ბიზნესები და სხვ; ▪ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შინამეურნეობების 20%-ის სოციოლოგიური კვლევა; ▪ ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შენობა-ნაგებობების და ნაკვეთების 100%-იანი ინვენტარიზაცია; ▪ განსახლების ანგარიში. 	<p>ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 31 აგვისტოს ჩათვლით</p>	<p>100 000</p>



4701000
4700000
4699000
4698000
4697000
4696000
4695000
4694000



1:18,000



ბანაძის მუხურა

ბანაძის მუხურა

საქართველო

საბაძის

დაბაძის

10000000.33.0

77104694

Kolkheti National park

მეძეძის
Kolkheti National park

საბ ქან



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1177 2015 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო
ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის
მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი
პორტის განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო
მომსახურების შესყიდვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის
იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ
განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს
2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15
მუხლით გათვალისწინებული პროგრამის - „სახელმწიფო ქონების მართვა“
(პროგრამული კოდი: 24 01 02) ქვეპროგრამით - „სახელმწიფო
საპრივატიზაციო ობიექტების აღრიცხვისა და შეფასების
ხარჯი“ (პროგრამული კოდი: 24 01 02 02) გათვალისწინებული ასიგნებიდან.

პრემიერ-მინისტრი

ჩ.



ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის განკარგულება
პროცესის № 47701/01
თბ.